REPORT 2023

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა

დღით ადრე და დღიური ბაზრის სიმულაცია

დღით ადრე ბაზრის სიმულაცია, რომელიც 2021 წლის ოქტომბრიდან დაიწყო საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზართან ერთად 2023 წლის განმავლობაში უწყვეტად მიმადინარეობდა.

რაც შეეხება დღიურ ბაზარს, 2023 წლის 13 თებერვლიდან იგი სატესტო რეჟიმში ამოქმედდა.

დღიური ბაზრის სიმულაციურ ვაჭრობაში დარეგისტრირებული იყო და მონაწილეობდა 15 -მდე კომპანია.

დღიური ბაზრის სიმულაციაში მონაწილეობით, რეალური ბაზრის პოტენციურ მონაწილეებს, საშუალება მიეცათ განევითარებინათ დღიური ბაზრის პლატფორმაზე მუშაობის უნარ-ჩვევები და გამოეცადათ ვაჭრობის განსხვავებული სტრატეგიები.

ბირჟის ოპერატორმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა დღიური ბაზრის მომხმარებლის გზამკვლევი.

ტრენინგები

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა, საკუთარი რესურსით, მუდმივად ცდილობს ენერგეტიკული ბირჟის პოტენციური მონაწილეებისა თუ ნებისმიერი დაინტერესებული პირებისთვის მოაწყოს სასწავლო შეხვედრა, ვინაიდან ზედმიწევნით დეტალურად გააცნოს დამსწრეებს ელექტროენერგეტიკულ ბირჟაზე მონაწილეობის სფეციფიკა.

2023 წლის განმავლობაში სენბიმ უზრუნველყო რამდენიმე სასწავლო შეხვედრის - ტრენინგის ორგანიზება, შეხვედრის დღის წესრიგი არის სტანდარტული და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ელექტროენერგიის ბაზრები
- ვაჭრობის ეკონომიკა
- ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობა
- ფინანსური ანგარიშსწორება ბირჟაზე
- აუქციონის სისტემა - დღით ადრე ბაზარი
- აუქციონის სისტემა - დღიური ბაზარი
- შიდა ინფორმაციის პლატფორმა

სერტიფიცირება

2021 წლის აპრილიდან, სენბი პერიოდულად ატარებს სავაჭრო წარმომადგენლების გამოცდას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს #46 დადგენილებით დამტკიცებული ეკექტრიენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების მე-14 მუხლის მიხედვით, გამოცდის ორგანიზება ევალება სენბის სულ მცირე წელიწადში 2-ჯერ.

2023 წლის განმავლობაში, სენბის სავაჭრო წარმომადგენლის სასერტიფიკატო გამოცდა ჩააბარა 23-მა პირმა და გაიცა შესაბამისი სერთიფიკატები.

გამოცდა ტარდება სენბის სერტიფიკაციის სამსახურის მიერ, შესაბამისი წესის მიხედვით.

სამართლებრივი ჩარჩო

შეიცვალა/გაიმართა დღით ადრე და დღიური ბაზრების მარეგულირებელი დოკუმენტები

ცვლილებები შევიდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს #46 დადგენილებით დამტკიცებული ეკექტრიენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესებში.

განახლდა სენბის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტები:

- აუქციონის სისტემით მომხმარებლის გზამკვლევი (დღით ადრე ბაზარი)
- სერტიფიკაციის სქემა
- პლატფორმის კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემის მომხმარებლის გზამკვლევი
- ფინანსური ანგარიშსწორების წესი ბირჟის მონაწილეებისათვის
- საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის შიდა ინფორმაცის პლატფორმით სარგებლობის წესები
- ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებით ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზრის წონასწორობის წერტილის დადგენის წესი
- აუქციონის სისტემით მოსარგებლის გზამკვლევი (დღიური ბაზარი)



სავაჭრო პლატფორმა

NORD POOL

დღით ადრე და დღიური ბაზრების სერვისით მომსახურებას უზრუნველყოფს ნორვეგიული კომპანია ნორდ პული, რომელმაც 2023 წლის განმავლობაში ბირჟით დაინტერესებულ ნებისმიერ მხარეს საშუალება მისცა ესარგებლა დღით ადრე და დღიური ბაზრების სასიმულაციო სივრცით.

ნორდ პულის სატესტო სივრცეში შექმნილია 100 მდე სასიმულაციო მონაწილის ანგარიში.

დაგვიკავშირდით

www.genex.ge

+995 32 205 45 88

mail@genex.ge

ქ.თბილისი, კ. ხეთაგუროვის 36

სენბი GENEX